



შპს „იუჯი სკოლის“ 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

დამტკიცებულია პარტნიორთა კრების ოქმით

სხდომის თავმჯდომარე, პარტნიორი ————— მანანა სანაძე



სკოლის მისია

სკოლის ხედვა

2024-2031 წლების სტრატეგიული მიზნები და მათკენ მიმავალი ამოცანები

შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი

SWOT-ანალიზი

PEST-ანალიზი

კონკურენციის ანალიზი

2017-2023 წლების სტრატეგიული გეგმის განხორციელების ხარისხი,

შედეგების ანალიზი

ამოცანები 2024-2025, 2025-2026, 2026-2027, 2027-2028, 2028-2029, 2029-2030,

2030-2031 წლებისთვის

2024-2031წლების სამოქმედო გეგმა

სტრატეგიული გეგმის გადასინჯვის მეთოდები



იუჯი სკოლის მისია

ჩვენი მისიაა განათლებული, ჰუმანურ-ლიბერალური ღირებულებების მქონე და პატრიოტული გრძნობით აღჭურვილი, ანალიტიკურად და შემოქმედებითად მოაზროვნე ღირსეული მოქალაქის აღზრდა, რომელსაც თავისუფლად შეეძლება სკოლაში მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების მეშვეობით საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება შემდგომი პიროვნული განვითარებისათვის ქვეყნის შიგნით, თუ ქვეყნის საზღვრებს გარეთ.



იუჯი სკოლის ხედვა

იუჯი სკოლა საკუთარ თავს ხედავს საქართველოში მოქმედ ბრიტანული და ქართული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ წარმატებულ სკოლად, რომელიც წარმოადგენს იუჯი სისტემის შუალედურ რგოლს (ბაღი-სკოლა-უნივერსიტეტი). სკოლას გააჩნია თანამედროვე, მოსახერხებელი და უსაფრთხო ინფრასტრუქტურა: ბიბლიოთეკის, სასწავლო ლაბორატორიებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის ჩათვლით; თანამედროვე საერთაშორისო პროგრამა, სწავლების თანამედროვე მეთოდები, მაღალკვალიფიციური პედაგოგები. სკოლი დამთავრებისას მოსწავლე კონკურენტუნარიანია, როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში ჩბარებისათვის დაწესებული მოთხოვნების მიმართ.



1. 2024-2031 წწ. სტრატეგიული ექვსი მიზანი და მათ მისაღწევად დასახული ძირითადი ამოცანები

1. სკოლის ინფრასტრუქტურული განვითარება

გულისხმობს შემდეგ ამოცანებს:

- 1.1. სკოლის ინფრასტრუქტურის ზრდას, კერძოდ, ახალი, მესამე შენობის იჯარით აღებას; ბათუმში ახალი სკოლის მშენებლობა
- 1.2. სკოლის ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას
2. STEAM -ისა და რობოტექნიკა-პროგრამირების ახალი ლაბორატორიის შექმნას, ან არსებულის გაუმჯობესებას.
- 2.1. სკოლის აუდიტორიების კაბინეტური სისტემით მოწყობა, რაც გულისხმობს თითოეული საგნის კაბინეტის მიზნობრივ მოწყობას.
- 2.2. სკოლის ეზოების გამწვანება, კეთილმოწყობა
- 2.3. ხელოვნების სახელოსნოდან თიხის გამოსაწველი ქორუს გამოცალკევებას და მისთვის ცალკე სივრცის გამოყოფას.
- 2.4. ხელოვნების სახელოსნოს ეზოს კეთილმოწყობა
- 2.5. სკოლის შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გარემონტება, უსაფრთხოების ნორმებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანა.
- 2.6. პარკირების ზონის, სკოლისაკენ შემომავალი გზის მოწესრიგება, უცხო მანქანების შემოსვლის უკეთესი კონტროლი, შესაძლო ფასიანი პარკირების სისტემის დანერგვა.
- 2.7. სკოლის ირგვლივ არსებული წყალგაყვანილობის, ენერგომომარაგებისა თუ სხვა კომუნიკაციის წყაროების მოწესრიგება და უსაფრთხოების ნორმებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანა.
- 2.8. სკოლის ძირითადი სხვა საშუალებების განახლება: ავტოპარკის განახლება ახალი ავტობუსების შეძენით; რკინის კარადების, სპორტული აღჭურვილობის, ბიბლიოთეკის რესურსების, ტექნიკის, ლაბორატორიის რესურსების, აუდიტორიების და საოფისე ავეჯის შეძენა და სხვა.
- 2.9. სკოლის ტექნოლოგიური ბაზების დახვეწა.
- 2.10. ახალი სპორტული დარბაზებისა და საცურაო აუზის მშენებლობა

2. სკოლისა და კოლეჯის პროგრამული და ინფრასტრუქტურული შერწყმა.



გულისხმობს შემდეგ ამოცანებს:

- 2.1. სკოლის ინფრასტრუქტურული ზრდის შედეგად, A-level -ის პროგრამის მოსწავლეებისათვის სკოლის შენობაში მეტი ფართის გამოყოფა.
- 2.2. სკოლის საკოლეჯე (A Level) პროგრამების გამრავალფეროვნება, ხარისხობრივად გაუმჯობესება და საშუალო სკოლის პროგრამებთან მათი მეტად ადაპტირება.
- 2.3. იუჯის მარალი კლასების ბრიტანული პროგრამის კერძოდ, A levels - პედაგოგების მეტად ჩართვა სასკოლო აქტივობებში, მათი დატრენინგება და სასკოლო ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრირება.

3. სკოლის პროგრამების დახვეწა და მათი განხორციელების ხარისხის გაუმჯობესება

გულისხმობს შემდეგ ამოცანებს:

- 3.1. საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ-პროფესიონალი აკადემიური კადრით უზრუნველყოფა,
- 3.2. არსებული მასწავლებლების დატრენინგება-გადამზადებას,
- 3.3. IB პროგრამის გამოყენება იმ ჯგუფებში, რომლებიც მხოლოდ ქართულ პროგრამას აირჩევენ. (ამ შესაძლოა საჭირო გახდეს პროგრამების და მასალების თარგმნა)
- 3.4. STEAM - ის პროგრამის გამართვა და ინტეგრირება ბუნებისმეტყველების საგნების სილაბუსებთან.
- 3.5. ახალი, ინტეგრირებული სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის წიგნის შექმნა ისტორიაში, პოლიტიკურ გეოგრაფიაში, ეკონომიკა, ხელოვნება, მუსლიტერატურასა და ფილოსოფიაში.
- 3.6. ახალშექმნილი სახელმძღვანელოს მთავარ რესურსად გამოყენების შეთანხმება სამინისტროსთან.
- 3.7. მასწავლებლების შეფასებისა და წახალისების სისტემის დანერგვა
- 3.8. წიგნიერების ახალი, ისტორიის საგანთან ინტეგრირებული პროგრამის შექმნა
- 3.9. ინგლისურენოვანი პროგრამების დანერგვა და გახსნა სკოლის ყველა საფეხურზე (იქნება ეს IB, Cambridge, AP, თუ სხვა.)
- 3.10. სკოლაში ახალი HR თანამშრომლის დაქირავება რომელიც მიიღებს სხვადასხვა ზომებს პედაგოგებისთვის მეტი კომფორტის შექმნის, სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობის გაზრდისა, საქმისადმი ენდოუზიანებაში გაზრდის მიზნით.
- 3.11. მოსწავლეთათვის A Levels- ის პედაგოგების, ასევე სხვა არაფორმალური განათლების ფარგლებში არსებული პროგრამების გამრავალფეროვნება



4. გაწვევრიანება კობისის საერთაშორისო ორგანიზაციაში (COBIS)

გულისხმობს შემდეგ ამოცანებს:

4.1. კობისის რეგულაციების სრული იმპლემენტაცია

4.2. სასკოლო უსაფრთხოების წესების, სააღმწრდლო თუ სადამრიგებლო პროგრამების თუ სხვა რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტების (კობისის სტანდარტების) მიხედვით გაწერა.

4.3. დამრიგებლების, პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების გადამზადება ახალი სააღმწრდლო პროგრამების მიხედვით.

4.4. სასკოლო საზოგადოებისათვის ახალი რეგულაციებისა და პროგრამების გაზიარება, ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში დანერგვა.

4.5. კობისის ავტორიზაციის პროცესის ფორმალური დაწყება და წარმატებული დასრულება.

5. სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეებისა და მშობლების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა.

გულისხმობს შემდეგ ამოცანებს:

5.1. მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გაძლიერება მშობელთა მმართველობითი ორგანოს ჩამოყალიბების სახით.

5.2. სასკოლო „ჰაუსების“, ან „სადროშეების“ დანერგვა, რითიც გაძლიერდება სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობა და გამდიდრდება სასკოლო ცხოვრება.

5.3. სასკოლო ბანაკებისა და მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კლუბების გამრავალფეროვნება

6. სკოლის მოსწავლეების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება ქვეყნის მაშტაბით და ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

გულისხმობს შემდეგ ამოცანებს:

6.1. სკოლაში ახალი უფასო საოლიმპიადე კლუბების გახსნა დაინტერესებულ მოსწავლეთათვის

6.2. ყოველწლიური ფესტივალისა და კონფერენციის წარმართვის ტრადიციის დანერგვა



- 6.3. მოსწავლეთა ყოველწლიურ ქვეყნის შიდა, თუ საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის ფასილიტაცია
- 6.4. შიდასასკოლო სადიაგნოსტიკო წერების სტანდარტიზაცია და სტატისტიკური მონაცემთა ანალიზის სისტემის ჩმოყალიბება.
- 6.5. მე-6 კლასის ბოლოს კემბრიჯის ნებაყოფლობით გამოცდაზე მოსწავლეების გასვლის წახალისება
- 6.6. სააბიტურო კლასის მოსწავლეებისათვის პროფესიისა და პროგრამების შერჩევის, უნივერსიტეტების არჩევის, ჩაბარების და დაფინანსებების მოპოვების მიმართულებით დამხმარე სამსახურის შექმნა.
- 6.7. სამინისტროს მიერ გამოცხადებული საატესტატო გამოცდების პირობების დაზუსტება და სკოლის პროგრამასთან მისი ინტეგრირება
- 6.8. სამინისტროსთან თანამშრომლობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ საატესტატო გამოცდებზე რეპუტაციული უპირატესობა არ მოიპოვონ სკოლებმა, რომელშიც გამოცდებს საკუთარ ბაზაზე არაკეთილსინდისიერად ჩაატარებენ და შესაბამისად, მიიღებენ უკეთეს შედეგებს.
- 6.9. მოსწავლეებისათვის წახალისების სისტემის შექმნა (თანადაფინანსება, სტიპენდია და სხვა.)

4. შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი

SWOT - ანალიზი

ძლიერი მხარეები (Strengths)

- ბრიტანულ საგამოცდო ცენტრთან რეგისტრაცია და უნიკალური პროგრამები (ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შერწყმული ბრიტანული განათლება ბუნებისმეტყველება, მათემატიკასა და ინგლისურში)
- ბრიტანული ატესტატის აღების შესაძლებლობა
- ბრიტანული კოლეჯის მომსახურება
- მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალი პედაგოგიური კოლექტივი
- მაღალი ხარისხის სწავლება ყველა საგანში
- განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამღზრდელობით პროცესს (დასავლური: ჰუმანური და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებას)
- სასწავლო ლაბორატორიები (ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ინფორმაციული ტექნოლოგიების)
- სპორტული ინფრასტრუქტურა (მრავალფუნქციური სპორტული დარბაზი, გასახდელები, ღია ვეხბურთის მოედანი, ჩოგბურთის კორტი)



- სასწავლო კომპიუტერული ტექნიკის დიდი რაოდენობა
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები (ყველა აუდიტორია აღჭურვილია კომპიუტერით მასწავლებლისთვის, პროექტორით, ინტერნეტით)
- გამოცდილი მენეჯმენტი აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით და საინფორმაციო სისტემით
- ხელსაყრელი ტერიტორიული მდებარეობა
- მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის სერვისი
- კურიკულუმს გარე შეთავაზებები (მუსიკალური აკადემია, სპორტული სკოლა, რობოტიკის და ელექტრონიკის, ინჟინერიის სასწავლო პროგრამა)
- სასწავლო წრეები (კითხვის კლუბი, კინოკლუბი, თიხის სახელოსნო, შემოქმედებითი წერის სახელოსნო, სასცენო ხელოვნების კლუბი, ცეკვის კლუბი, სიმღერის წრე, ჭადრაკის წრე, უცხო ენის წრე)
- ინგლისურენოვანი პროფესიონალი პედაგოგები
- სასკოლო ბიბლიოთეკა
- გამოცდილი მენეჯმენტი
- კარგი რეპუტაცია
- საქართველოს უნივერსიტეტი როგორც საიმედო დამხმარე და პარტნიორი

სუსტი მხარეები (Weaknesses)

- საცურაო აუზის არ ქონა
- სკოლას აქვს შეზღუდული გამწვანებული ზონა.
- სკოლის მიმდებარედ არსებული ბარაკული დასახლება
- ტრანსპორტისთვის რთულად მისადგომი ინფრასტრუქტურა
- პროგრამის აკრედიტაციის არარსებობა (სასურველი შერწყმული მოდელის პროგრამის)

შესაძლებლობები (Opportunities)

- ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა ან არსებული შენობის შემომატება ან იჯარით დამატება
- აუზის მშენებლობა
- უკეთესი სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა
- თბილისის სხვადასხვა უბნებში და ქვეყნის რეგიონებში ფილიალების ქსელის შექმნა
- საერთაშორისო მეტი კავშირების დამყარება
- პროგრამული უპირატესობის მოპოვება

საფრთხეები (Threats)

- საკანონმდებლო რეგულაციების შესაძლო ცვლილება, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სკოლის განვითარებაზე



- ბაზარზე ისეთი მდიდარი მოთამაშეების შემოსვლა, როგორებიც არიან საქართველოს ბანკი (ჰოლდინგი), რომელმაც უკვე შეიძინა რამდენიმე კერძო სკოლა და დიდი ინვესტიციების ჩადებით შესაძლოა ბაზრის მონოპოლიზაცია მოახდინოს.
- საატესტატო გამოცდების (რომლის დანერგვა იგეგმება სამინისტროს მხრიდან) შედეგების ობიექტურობა: რამდენად სკოლები ჩაატარებენ მას დამოუკიდებლად და ობიექტურად. შესაძლოა სამართლიანად და კეთილსინდისიერად მომუშავე სკოლას გაუჭირდეს რეპუტაციული კონკურენციის გაწევა სკოლებისათვის, რომლებიც საატესტატო გამოცდებს არაკეთილსინდისიერად ჩაატარებენ და შესაბამისად, გამოცდაზე აშვენებენ უკეთეს შედეგებს. ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა სამინისტროსთან მუშაობა, რომ სკოლამ მიიღოს რეპუტაციული უსაფრთხოების გარკვეული გარანტიები.

PEST - ანალიზი

ეკონომიკური ფაქტორები

სკოლის კლიენტის გადახდისუნარიანობა მთლიანად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ინფლაციის სწრაფმა ტემპმა გამოიწვია ხელფასების რადიკალურად გაზრდის აუცილებლობა. სკოლას უჭირს ფასის ზრდით დააბალანსოს ის მომატებული ხარჯი, რაც ქვეყანაში ეკონომიკური სტაგნაციით და ეროვნული ვალუტის გაუფასურებით არის გამოწვეული.

სოციალური ფაქტორები

ქვეყანაში ბოლო პერიოდში ძალიან გაზრდილია საზღვარგარეთიდან მოსწავლეების (ოჯახების) შემოდინება. უახლოესმა მოვლენებმა მსოფლიოში, მკვეთრად გაზარდა თბილისში და ბათუმში ინგლისურენოვანი საერთაშორისო სკოლის მაძიებელი მოსწავლეების რაოდენობა. რაც თავის მხრივ სკოლისთვის აჩენს მეტი მოსწავლის მიღწების შესაძლებლობას.

ტექნოლოგიური ფაქტორები

პანდემიის ფონზე უფრო გამოჩნდა, რამდენად მნიშვნელოვანია სკოლაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით პროგრამირების, რობოტექნიკისა თუ სხვა ტექნოლოგიური პროგრამების სწავლების გააქტიურება. საქართველოში არარსებული კომპეტენტური კადრების კვალობაზე, მნიშვნელოვანია სკოლის მაქსიმალურად აღჭურვა საჭირო ტექნიკითა და კადრების მუდმივი



დატრენინგება. ასევე სამუშაო ჯგუფების შედგენა, რომლების დაწერენ სასკოლო პროგრამებს. ამ მხრივ ჩვენს სკოლას აქვს ტექნოლოგიური უპირატესობანი იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს უნივერსიტეტი ჰყავს, როგორც ძლიერი პარტნიორი. სკოლა პირველი იყო ვინც თბილისში (ევროპული სკოლის პარალელურად) დაიწყო ინტერნეტ პლათფორმის გამოყენებით ონლაინ სწავლება. სკოლა ლიდერია ასევე რობოტექნიკისა და პროგრამირების სკოლაში დანერგვის ხარისხის და ტემპის მიხედვით. ამ მიმართულებით აუცილებელია შემუშავდეს სკოლის პოლიტიკა, რომ სკოლის პროგრამის ტექნოლოგიურ პროფილში დატვირთვა და მისი სწავლების კომპიუტერიზაცია იქცეს სკოლის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიად.

პოლიტიკური ფაქტორები

UG-სკოლა ახორციელებს ერთ-ერთ ყველაზე უფრო რეგულირებად საქმიანობას ქვეყანაში. გარდა ამისა, სკოლის საქმიანობა იმ რამდენიმე საქმიანობათა შორისაა, რის წარმოებას სახელმწიფო ეწევა. ბაზარზე კერძო სკოლებთან ერთად ოპერირებენ სახელმწიფო სკოლებიც. შესაბამისად, სკოლა უაღრესად მგრძნობიარეა ნებისმიერი პოლიტიკური ფლუქტუაციების მიმართ. რეგულაციების ცვლილება (სავალდებულო თუ სარეკომენდაციო ნორმები, კონტროლის წესი), პოლიტიკური დაგაწყვეტილებები სკოლების დაფინანსების გაზრდისა, თუ შემცირების შესახებ, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ტექნიკური აღჭურვის, მასწავლებლების გადამზადების, სახელმწიფო სკოლების პრივატიზაციის დაწყების თუ შეჩერების და ა.შ. შესახებ ცვლის მდგომარეობას ბაზარზე, კონკურენტებს, წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს, საფრთხეებს და ზოგადად, დიდ გავლენას ახდენს UG-სკოლაზე.



5. კონკურენციის ანალიზი

იუჯი სკოლა თავის უმთავრეს კონკურენტებად მოიაზრებს სკოლებს, სადაც სწავლის წლიური საფასური მერყეობს 11000 ლარიდან - 20000 ლარამდე, ქალაქ ბათუმში 4000 ლარიდან 8000 ლარამდე, რაც სკოლისათვის საკმაოდ კონკურენტუნარიან გარემოს ქმნის. სკოლის უშუალო კონკურენტები არიან: ნიუტონის თავისუფალი სკოლა, ევროპული სკოლა, ბაქსვუდის სკოლა, კავკასიის ფრანგული სკოლა, ახალი სკოლა, ბრიტანული აკადემია, ლოგოსი, მილენიუმის სკოლა, ახალი სკოლა. ბათუმში - სკოლა ევრო 2000, სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი, ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლა, ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი ბათუმში

კონკურენტების ძლიერი მხარეები:

1. ქალაქგარეთ გაშლილი ინფრასტრუქტურა

იუჯი სკოლასთან შედარებით მისი კონკურენტების ნაწილი გამოიჩევიან უფრო გაშლილი ინფრასტრუქტურით. ნაწილი ამ სკოლებისა ქალაქგარეთ მდებარეობს და მათ აქვთ ინფრასტრუქტურის უფრო ფართოდ გაშლისა და განვითარების მეტი საშუალება (ახალი სკოლა, მილენიუმის სკოლა, ბაქსვუდის სკოლა, ბრიტანული აკადემია, ქალაქგარეთ გადადის ევროპული სკოლა და ლოგოსი).

2. წლების გამოცდილება და განთქმული სახელი

იუჯი სკოლასთან შედარებით მისი კონკურენტების ნაწილი ბევრად დიდი ხანია რაც მოღვაწეობს, საერთაშორისო პროგრამებიც წლებით ადრე აქვს დანერგილი და უკვე გავლილი აქვთ პროგრამული აკრედიტაციაც კი. მაგალითად ევროპული სკოლა და ბრიტანული აკადემია ათწლეულით უსწრებენ UG-ის და ჩვენი სკოლის მხოლოდ განვითარების ძალიან სწრაფმა ტემპმა შესაძლებელი გახადა მათთან კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობა.

3. საერთაშორისო კავშირები

იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო სკოლებს შორის რამდენიმე სკოლა მეტი ხანია არსებობს, მათი კავშირები საელჩოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მეტია. ეს აძლევს მათ დიდ პრივილეგიას საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის თვალსაზრისით.

ჩვენი სკოლის მიზანია რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა რაც მომავალ წლებში უნდა მოხერხდეს. მაგალითად „COBIS“ (Council of British International Schools)

4. სკოლები დიდი ბიუჯეტით

ბოლო წლებია კერძო სკოლების ბაზარზე ძალიან ძლიერი მოთამაშე შემოვიდა. საქართველოს ბანკი (ჰოლდინგი), რომელმაც შეიძინა რამდენიმე კერძო სკოლა და აგრძელებს მათ შეძენას და ინვესტირებას.



შეძენილ სკოლებს როგორცაა ბრიტანული აკადემია, ბაქსვუდი, მწვანე სკოლა, სკოლა ფესვები და სხვა.. ეძლევათ უზარმაზარი ფინანსები და არსებული ინვესტიციით დიდი ინფრასტრუქტურული ცვლილებების განხორციელების პერსპექტივები. ამგვარ დიდი ფინანსებით მონოპოლიზებულ ბაზარზე შესაძლოა გაუჭირდეს ისეთ დამოუკიდებელ მოთამაშეს როგორც UG სკოლაა.

იუჯი სკოლა კონკურენტულ გარემოსთან გამკლავებას ზემოთ ჩამოთვლილ ყველა მიმართულებით ცდილობს. 1) 4) საქართველოს უნივერსიტეტის დახმარებით სკოლაში ჩაიდება ინვესტიცია, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს სკოლის ინფრასტრუქტურას. შესაძლოა სკოლის ადგილმდებარეობის ცვლილებაც, ან ახალი შენობის (რომლითაც ამ მომენტისათვის საქართველოს უნივერსიტეტი სარგებლობს სკოლის სარგებლობაში გადმოცემა.

2) სასკოლო გამოცდილებას სკოლა ძალიან სწრაფი ტემპით იძენს და ახალგაზრდა გუნდის მეშვეობით მუდმივად ვითარდება. თუკი ტემპი არ შენელებს, სკოლა უკვე რამდენიმე წელიწადში სრულიად გამართული საერთაშორისო სუბიექტი იქნება მსოფლიო ასპარეზზე.

3) სკოლა მაქსიმუმ ერთ წელიწადში გეგმავს “COBIS”-ის წევრი გახდეს რაც პირველი ნაბიჯი იქნება საერთაშორისო კავშირების მოპოვების გზაზე.

4) საქართველოს ბანკის შემოთავაზებას რომ ჩვენი სკოლაც გაიყიდოს, სკოლა ჯერჯერობით უარით პასუხობს. არაპროგნოზირებადია მსგავსი ძლიერი მოთამაშის შემდგომი სვლები თუმცა ფაქტია, რომ ისინი აგრძელებენ წარმატებული კერძო სკოლების შეძენას. ამ მხრივ სკოლა ფხიზლად არის და თვალს ადევნებს ბაზარზე წარმოქმნილ ცვლილებებს.



6. 2017-2023 წლების სტრატეგიული გეგმის განხორციელების ხარისხი, შედეგების ანალიზი

ინფრასტრუქტურული ცვლილებები

სკოლამ შეასრულა ნაწილი ინფრასტრუქტურული ცვლილებებისა, რაც წინა წლების სტრატეგიული გეგმით იყო განსაზღვრული კერძოდ:

- 1) სკოლამ ააშენა ახალი სპორტული დარბაზი, საცეკვაო დარბაზი, (2017-2018 წლის გეგმის მიხედვით)
- 2) სკოლის ეზო გამწვანდა (2019-2020 წლის გეგმის მიხედვით)
- 3) 2017-2020 წლებში დაგეგმილი ახალი შენობის მშენებლობა აღარ გახდა საჭირო, რადგან სკოლამ აირჩია ახალი სტრატეგია კერძოდ, ძველი შენობების რეკონსტრუქცია და რემონტის ხარჯზე შენობის შიდა ფართის ახალი დაგეგმარება, რამაც გაზარდა შენობის ფართის მეტად პრაქტიკული გამოყენების ხარისხი.
სკოლის სტრატეგიის შეცვლა გამოწვეული იყო მერიის მხრიდან სასკოლო შენობების ორი პროექტის ჩაგდებათ, რამაც ნათელი გახადა ასევე 2022-2023 წლებში დაგეგმილი საერთო საცხოვრებლის ტიპის კამპუსების მშენებლობის შეუძლებლობაც.

იქიდან გამომდინარე, რომ პანდემიის გამო სკოლა ნაკლებად იყენებდა რეალურ ფართს, განხორციელებული ინფრასტრუქტურული ცვლილებები საკმარისი აღმოჩნდა და ამ მომენტისათვის სკოლას უახლოეს ორ წელიწადში არ შეექმნება სასკოლო ფართის პრობლემა.

- 4) დაგეგმილი აუზის მშენებლობა შეჩერებულია იქამდე, სანამ მერიის მხრიდან არ წამოვა თანხმობა მშენებლობაზე.

შეჯამების სახით, ახალი შენობის აშენების ნაცვლად, სკოლამ ორი შენობის რეკონსტრუქციის ხარჯზე სრულად უზრუნველყო სასკოლო საჭიროებები. სკოლას აქვს ახალი თეატრალური დარბაზი, რაც გეგმაში არ შედიოდა, სპორტული დარბაზი, ახალი ლაბორატორიები ბიოლოგიასა და ქიმიაში, გამწვანებული ეზო და გარემონტებული აუდიტორიები. ასევე სრულად განახლდა ბიბლიოთეკის, სასადილო და სველი წერტილები.



ძირითადი საშუალებები

2017-2019 წლების მიხედვით, დაგეგმილი იყო სკოლისათვის ახალი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა, ბიბლიოთეკის რესურსების განახლება და სასკოლო ინვენტარის დამატება, ჩანაცვლება, რაც განხორციელდა.

სკოლამ პანდემიიდან გამომდინარე შეიძინა იმაზე გაცილებით მეტი კომპიუტერული ტექნიკა, ვიდრე ამას მოიაზრებდა. ყველა საკლასო ოთახი აიღჭურვა პროექტორებით, კომპიუტერებით, ყურსასმენებითა და ინტერნეტით. შეიქმა დამატებითი, ახალი კომპიუტერული ლაბორატორია.

ბოლო წლებში სკოლამ შეიძინა არა ერთი, არამე ორი მინი ავტობუსი და ერთი დიდი ავტობუსი.

სკოლამ შეიძინა ასევე 18 ცალი ეფლის ფირმის „პლანშეტი“ რამაც ჩაანაცვლა „სმარტბორდის“ შეძენის საჭიროება.

დაგეგმილი საბიბლიოთეკო ფონდის განახლებაც განხორციელდა. სკოლამ გასულ წელსაც და წინა წლებშიც შეიძინა დიდი ოდენობით ლიტერატურა ყველა ასაკის მკითხველისათვის. პანდემიიდან გამომდინარე შეძენები ძირითადად განხორციელდა პანდემიამდე და პანდემიის დასრულების შემდგომ. გასულ წელს სკოლამ ასევე დაიწყო ინგლისურენოვანი ადაპტირებული ლიტერატურის შეძენა.

მატერიალურ-ტექნიკური სრული ბაზა წლიდან-წლამდე გეგმიურად ახლდება საჭიროებებისამებრ.

ახალი კადრების აყვანა, ძველი კადრების კვალიფიკაციაზე მუშაობა

- 1) 2017 წლიდან დაგეგმილი იყო კემბრიჯთან ურთიერთობის და ბრიტანული პროგრამების დანერგვის მიმართულებით კონსულტანტის დაქირავება, რაც განხორციელდა. თინათინ ედიშერაშვილთან სკოლა დღემდე თანამშრომლობს.
- 2) პანდემიის წლებში არ მოხერხდა დამრიგებლებთან მუშაობა აღმზრდელობით, თუ სხვა პროგრამებზე. დამრიგებლების როლი ორი წლის განმავლობაში შემოიფარგლებოდა მშობლებთან და პედაგოგებთან ურთიერთობით, რომელიც მიმართული იყო ონლაინ



გაკვეთილის ხარისხიანად ჩატარებისკენ. პანდემიამდე სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს უნივერსიტეტთან და ატარებდა არაერთ ტრენინგს დამრიგებლებისათვის. პანდემიის შემდგომ განახლდა ეს საქმიანობა.

- 3) სკოლამ 2017-2018 წლების გეგმის მიხედვით დაიქირა აიტი მენეჯერი, რაც განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა პანდემიის დაწყების პირობებში. UG სკოლა პირველი სკოლა იყო თბილისში და ბათუმში ვინც ონლაინ გაკვეთილები შესთავაზა მოსწავლეებს 15 მარტიდან.
- 4) ანალოგიურად შეჩერებული იყო პედაგოგებთან პროფესიული განვითარების მიმართულებით მუშაობა პანდემიის ორი წლის განმავლობაში და წელს განვაახლეთ პროცესი. პანდემიის პერიოდში ტრენინგები ტარდებოდა მხოლოდ კემბრიჯის პროგრამის პედაგოგებთან, ხოლო სხვა ყველა პედაგოგთან სკოლა მუშაობდა ონლაინ სწავლების უკედ დანერგვის მიმართულებით, რაც მოიცავს ტრენინგებს სხვადასხვა ონლაინ პლათფორმების გამოყენების მიმართულებით. წელს სკოლა გეგმავს პროფესიული განვითარების მიმართულებით მუშაობის სფეროს გაფართოვებას.

სასწავლო პროგრამა, აკრედიტაცია, პროგრამების ინტეგრირება, ახალი კლუბები და პლათფორმები

სკოლის სასწავლო პროგრამა ყოველწლიურად იცვლება და იხვეწება. ძირითადი მუშაობა მიმდინარეობს ბრიტანული რესურსების გამოყენების დანერგვის მიმართულებით და ქართული ეროვნული სასწავლო გეგმისა და ბრიტანული გეგმის სასწავლო ერთეულების ინტეგრირების მიმართულებით, რაც სკოლამ მაქსიმალურად განახორციელა ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკაში. ასევე სკოლა მიჰყვება უფრო ინტენსიურ კურსს ინგლისური ენის შესწავლის მიმართულებით, რაც ემთხვევა ბრიტანული სისტემის მიზენებს და შედეგებს. სასწავლო პროგრამებზე მუშაობა გრძელდება.

სკოლა 2020-2021 წლებში უკვე გეგმავდა პროგრამების აკრედიტაციას, თუმცა პანდემიიდან გამომდინარე ეს პროცესი გადაიდო და სკოლა ახლა ემზადება ამ პროცესის დასაწყებად.

2017 წლიდან დაგეგმილი სასწავლო ცხრილის გამართვა სკოლამ წარმატებით განახორციელა. შეიქმნა სასკოლო ღონისძიებების კალენდარი რის მეშვეობითაც, ნაკლებია დამთხვევები,



საგნების გაცდენები (ლონისძიების გამო), ან ლონისძიების ჩაშლის შემთხვევები დაუგეგმავობის გამო. გაიზარდა სასკოლო თუ გასვლითი ლონისძიებების ხარისხი.

ცხრილი ასევე მოერგო სპორტისა და მეორე ენის საათებს, რამაც მოსწავლეებს მისცა მეტი არჩევითი მეორე უცხო ენის, თუ სპორტის სახეობების შეთავაზებისას. შესაბამისად, გაიზარდა მოსწავლეების მოტივაცია და აქედან გამომდინარე გაკვეთილის ხარისხი.

2017-2018 წლებიდან სკოლა ასევე გეგმავდა პროგრამირების კლუბის ჩამოყალიბებას, რომლის არსებობის საჭიროება აღარ არსებობს, რადგან საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულმა „UG ლიმენსმა“ სკოლას შესთავაზა პროგრამირების საშაბათო კლუბი და სკოლის მოსწავლეები დაინტერესების შემთხვევაში ამ მომსახურებით სარგებლობენ.

კემბრიჯის მიმართულებით სკოლამ გაამრავალფეროვნა შეთავაზებული საგნების ჩამონათვალი. შემოიღო არჩევითი საგანი ლათინურისა და ფილოსოფიის მიმართულებით.

რაც შეეხება 2019 წლისათვის სკოლის გეგმაში არსებულ „ელექტრონული გამოცდების დანერგვას“, სკოლამ დიდი გამოცდილება მიიღო სწორედ 2019 წლიდან მოსწავლეებთან ელექტრონული გამოცდების დანიშვნის მიმართულებით და სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში მზად არის ჩაატაროს ელექტრონული გამოცდები.

ელექტრონული ბაზა, ელექტრონული რესურსები და ბიბლიოთეკა

სკოლამ ბოლო წლებში შექმნა სრულიად უნიკალური და მის ინტერესებზე მორგებული ელექტრონული ბაზა, რომლის სატესტო გამოყენება რამდენიმე კლასთან უნდა მოახდინოს 2024 სასწავლო წელს. წარმატებული გამოყენების შემთხვევაში, სკოლა სრულად გადავა თავისი ელექტრონული ბაზის (ჟურნალის) გამოყენებაზე.

რაც შეეხება ელექტრონულ რესურსებსა და ბიბლიოთეკას, სკოლა პანდემიის პირობებში სრულად გადავიდა ელექტრონული რესურსების გამოყენებაზე და ამ მხრივ წარმოდგენლად გამდიდრდა სასკოლო პროგრამები და სწავლების მეთოდოლოგია. სკოლა არ აპირებს ამ რესურსების დავიწყებას, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები დაუბრუნდნენ საკლასო ოთახებს.



სასკოლო ბანაკების პოპულარიზაცია

სკოლამ დროებით შეცვალა თავისი პოლიტიკა სასკოლო ბანაკებთან მიმართებაში, სკოლა თავად არ ცდილობს საზაფხულო ბანაკების ორგანიზებას, არამედ გარე ორგანიზაციების დახმარებით თავის მოსწავლეებს სთავაზობს ბანაკებს ინგლისში, ევროკავშირის ქვეყნებში და საქართველოში. ამ ზაფხულს სკოლის მოსწავლეები ესტუმრენ ბრიტანულ საზაფხულო სკოლას, ხოლო გასულ წლებში (პანდემიის დაწყებამდე) მოსწავლეები დადიოდნენ არქეოლოგიურ ბანაკში სამშვილდეში. ზამთრის სეზონზე სკოლა ასევე რეკლამას უწევს სათხილამურო სხვადასხვა სკოლას. გასაზრდელია სკოლის ჩართულობის ხარისხი ბანაკების დაგეგმვა ორგანიზაციის საკითხში. სკოლა აპირებს საკუთარი ბანაკის დაორგანიზებას მას მერე, რაც ექნება საკუთარი ბაზა ქალაქგარეთ. საქართველოს უნივერსიტეტის მიერ აშენებული „ალგეთის“ ბანაკის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ (სავარაუდოდ 2026 წლის გაზაფხულიდან), სკოლა გაააქტიურებს ამ მხრივ მუშაობას.

მოსწავლეთა დაფინანსება

სკოლა 2021-2022 წლიდან გეგმავდა საქველმოქმედო ფონდის შექმნით მოსწავლეებისათვის სხვადასხვა დაფინანსებისა და სტიპენდიების შეტავაზებას, თუმცა პანდემიით გამოწვეული ფინანსური სიძნელეების გამო, ეს გეგმა მინიმუმ უახლოეს წლებში ვეღარ განხორციელდება.

შეჯამების სახით, სკოლამ ძირითადად ყველა დასახული მიზანი განახორციელა. თუკი რაიმე მიზანი არ განხორციელდა ამის მიზეზი მხოლოდ იყო პოლიტიკური (ქალაქის მერია), ან ფინანსური (პანდემიიდან გამომდინარე). შეიცვალა და დაკორექტირდა რამდენიმე მიზანი, რაც სკოლამ უფრო პრაქტიკული გადაწყვეტით მოარგო არსებულ რეალობას.

ნაწილი მიზნებისა სკოლად გადმოიტანა ახალ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში.



7. ამოცანები 2024-2025, 2025-2026, 2026-2027, 2027-2028, 2028-2029, 2029-2030, 2030-2031 წლებისთვის

სკოლის შვიდწლიანი განვითარების პერიოდში სკოლის მიერ შესასრულებელი ამოცანები ქრონოლოგიურად შემდეგნაირად არის გაწერილი:

2024-2025 სასწავლო წელს იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:

1. სკოლაში ახალი უფასო საოლიმპიადე კლუბების გახსნა დაინტერესებულ მოსწავლეთათვის
2. სკოლის ძირითადი სხვა საშუალებების განახლება: ავტოპარკის განახლება ახალი ავტობუსების შეძენით; რკინის კარადების, სპორტული აღჭურვილობის, ბიბლიოთეკის რესურსების, ტექნიკის, ლაბორატორიის რესურსების, აუდიტორიების და საოფისე ავეჯის შეძენა და სხვა.
3. არსებული მასწავლებლების დატრენინგება-გადამზადებას,
4. სკოლის ტექნოლოგიური ბაზების დახვეწა. ადმინისტრაციის ყველა წევრისთვის დამოუკიდებელი ელექტრონული მისთვის დამხმარე გვერდის შექმნა.
5. სკოლაში მოსწავლეებისათვის მეტი საგნის შეთავაზება ბრიტანული კოლეჯის დონეზე (A-levels), ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში უსასყიდლოდ, ან დამატებითი საფასურის სანაცვლოდ.
6. დამრიგებლების, პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების გადამზადება ახალი საადმინისტრაციო პროგრამების მიხედვით.
7. სასკოლო ბანაკებისა და მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კლუბების გამრავალფეროვნება
8. STEAM - ის პროგრამის გამართვა და ინტეგრირება ბუნებისმეტყველების საგნების სილაბუსებთან.
9. კობისის რეგულაციების სრული იმპლემენტაცია
10. სასკოლო უსაფრთხოების წესების, საადმინისტრაციო თუ სადამრიგებლო პროგრამების თუ სხვა რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტების (კობისის სტანდარტების) მიხედვით გაწერა.
11. სასკოლო საზოგადოებისათვის ახალი რეგულაციებისა და პროგრამების გაზიარება, ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში დანერგვა.



12. კობისის ავტორიზაციის პროცესის ფორმალური დაწყება და წარმატებული დასრულება.
13. ახალი, ინტეგრირებული სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის წიგნის შექმნა ისტორიაში, პოლიტიკურ გეოგრაფიაში, ეკონომიკა, ხელოვნება, მუსლიტერატურასა და ფილოსოფიაში.
14. სასკოლო „ჰაუსების“, ან „სადროშეების“ დანერგვა, რითიც გაძლიერდება სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობა და გამდიდრდება სასკოლო ცხოვრებაც.
15. STEAM -ისა და რობოტექნიკა-პროგრამირების ახალი ლაბორატორიის შექმნას, ან არსებულის გაუმჯობესებას.
16. წიგნიერების ახალი, ისტორიის საგანთან ინტეგრირებული პროგრამის შექმნა
17. მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გაძლიერება მშობელთა მმართველობითი ორგანოს ჩამოყალიბების სახით.
18. საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ-პროფესიონალი აკადემიური კადრით უზრუნველყოფა,
19. იუჯის მაღალი კლასების პედაგოგების კერძოდ GCSE და A Levels- ის პედაგოგების მეტად ჩართვა სასკოლო აქტივობებში, მათი დატრენინგება და სასკოლო ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრირება.
20. მოსწავლეთათვის A Levels- ის პედაგოგების, ასევე სხვა არაფორმალური განათლების ფარგლებში არსებული პროგრამების გამრავალფეროვნება
21. პარკირების ზონის, სკოლისაკენ შემომავალი გზის მოწესრიგება, უცხო მანქანების შემოსვლის უკეთესი კონტროლი, შესაძლო ფასიანი პარკირების სისტემის დანერგვა.
22. ხელოვნების სახელოსნოდან თიხის გამოსაწველი ქურის გამოცალკევებას და მისთვის ცალკე სივრცის გამოყოფას.
23. სკოლის შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გარემონტება, უსაფრთხოების ნორმებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანა.
24. ყოველწლიური ფესტივალისა და კონფერენციის წარმართვის ტრადიციის დანერგვა (ამ წელს სამეცნიერო ფესტივალისა და კონფერენციის ორგანიზება)
25. მოსწავლეთა ყოველწლიურ ქვეყნის შიდა, თუ საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის ფასილიტაცია
26. სააბიტურო კლასის მოსწავლეებისათვის პროფესიისა და პროგრამების შერჩევის, უნივერსიტეტების არჩევის, ჩაბარების და დაფინანსებების მოპოვების მიმართულებით დამხვარე სამსახურის შექმნა.
27. სკოლაში ახალი HR თანამშრომლის დაქირავება რომელიც მიიღებს სხვადასხვა ზომებს პედაგოგებისთვის მეტი კომფორტის შექმნის, სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობის გაზრდისა, საქმისადმი ენთუზიაზმში გაზრდისა და მათი პროფესიული განვითარების მიმართულებით.
28. სკოლაში თანამშრომლების პროფესიული განვითარების სქემის შექმნა.
29. სკოლის სამომავლო იჯარით ასაღები შენობის დეტალური დაგეგმვა (შიდა მოწყობის)



2025-2026 სასწავლო წელს იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:

1. IB პროგრამების დანერგვაზე მუშაობის დაწყება
2. IB პროგრამის გამოყენება იმ ჯგუფებში, რომლებიც მხოლოდ ქართულ პროგრამას აირჩევენ. (ამ შესაძლოა საჭირო გახდეს პროგრამების და მასალების თარგმნა)
3. ახალი, ინტეგრირებული სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის წიგნის შექმნა ისტორიაში, პოლიტიკურ გეოგრაფიაში, ეკონომიკა, ხელოვნება, მუსლიტერატურასა და ფილოსოფიაში.
4. სკოლის ინფრასტრუქტურის ზრდას, კერძოდ, ახალი, მესამე შენობის იჯარით აღებას
5. სკოლის ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას
6. სკოლის აუდიტორიების კაბინეტური სისტემით მოწყობა, რაც გულისხმობს თითოეული საგნის კაბინეტის მიზნობრივ მოწყობას.
7. სკოლის ირგვლივ არსებული წყალგაყვანილობის, ენერგომომარაგებისა თუ სხვა კომუნიკაციის წყაროების მოწესრიგება და უსაფრთხოების ნორმებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანა.
8. სკოლის ინფრასტრუქტურული ზრდის შედეგად, მაღალი კლასებისათვის კერძოდ, A levels - პროგრამის მოსწავლეთათვის სკოლის შენობაში მეტი ფართის გამოყოფა.
9. სამინისტროს მიერ გამოცხადებული საატესტატო გამოცდების პირობების დაზუსტება და სკოლის პროგრამასთან მისი ინტეგრირება
10. სამინისტროსთან თანამშრომლობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ საატესტატო გამოცდებზე რეპუტაციული უპირატესობა არ მოიპოვონ სკოლებმა, რომლებიც გამოცდებს საკუთარ ბაზაზე არაკეთილსინდისიერად ჩაატარებენ და შესაბამისად, მიიღებენ უკეთეს შედეგებს.
11. შიდასასკოლო სადიაგნოსტიკო წერების სტანდარტიზაცია და სტატისტიკური მონაცემთა ანალიზის სისტემის ჩამოყალიბება.
12. სკოლაში ახალი უფასო საოლიმპიადე კლუბების გახსნა დაინტერესებულ მოსწავლეთათვის
13. სკოლის ძირითადი სხვა საშუალებების განახლება: ავტოპარკის განახლება ახალი ავტობუსების შეძენით; რკინის კარადების, სპორტული აღჭურვილობის, ბიბლიოთეკის რესურსების, ტექნიკის, ლაბორატორიის რესურსების, აუდიტორიების და საოფისე ავეჯის შეძენა და სხვა.
14. არსებული მასწავლებლების დატრენინგება-გადამზადებას,
15. სკოლის ტექნოლოგიური ბაზების დახვეწა. ადმინისტრაციის ყველა წევრისთვის დამოუკიდებელი ელექტრონული მისთვის დამხმარე გვერდის შექმნა.



16. სკოლაში მოსწავლეებისათვის მეტი საგნის შეთავაზება ბრიტანული კოლეჯის დონეზე (A-levels), ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში უსასყიდლოდ, ან დამატებითი საფასურის სანაცვლოდ.
17. დამრიგებლების, პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების გადამზადება ახალი სააღმზრდელო პროგრამების მიხედვით.
18. სასკოლო ბანაკებისა და მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კლუბების გამრავალფეროვნება
19. საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ-პროფესიონალი აკადემიური კადრით უზრუნველყოფა,
20. კემბრიჯის პროგრამის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მეტი ინტეგრირება
21. სკოლის შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გარემონტება, უსაფრთხოების ნორმებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანა.
22. ყოველწლიური ფესტივალისა და კონფერენციის წარმართვის ტრადიციის დანერგვა (ამ წელს სამეცნიერო ფესტივალისა და კონფერენციის ორგანიზება)
23. მოსწავლეთა ყოველწლიურ ქვეყნის შიდა, თუ საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის ფასილიტაცია

2026-2027 სასწავლო წლისათვის იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:

1. სკოლის ეზოების გამწვანება, კეთილმოწყობა
2. ხელოვნების სახელოსნოს ეზოს კეთილმოწყობა
3. მე-6 კლასის ბოლოს კემბრიჯის ნებაყოფლობით გამოცდაზე მოსწავლეების გასვლის წახალისება
4. მოსწავლეებისათვის წახალისების სისტემის შექმნა (თანადაფინანსება, სტიპენდია და სხვა.)
5. IB, AP, თუ სხვა საერთაშორისო პროგრამების დანერგვა, პედაგოგების გადამზადება.
6. ახალი, ინტეგრირებული სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის წიგნის შექმნა ისტორიაში, პოლიტიკურ გეოგრაფიაში, ეკონომიკა, ხელოვნება, მუსლიტერატურასა და ფილოსოფიაში.
7. სკოლის ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას
8. სკოლაში ახალი უფასო საოლიმპიადე კლუბების გახსნა დაინტერესებულ მოსწავლეთათვის



9. სკოლის ძირითადი სხვა საშუალებების განახლება: ავტოპარკის განახლება ახალი ავტობუსების შეძენით; რკინის კარადების, სპორტული აღჭურვილობის, ბიბლიოთეკის რესურსების, ტექნიკის, ლაბორატორიის რესურსების, აუდიტორიების და საოფისე ავეჯის შეძენა და სხვა.
10. არსებული მასწავლებლების დატრენინგება-გადამზადებას,
11. სკოლის ტექნოლოგიური ბაზების დახვეწა. ადმინისტრაციის ყველა წევრისთვის დამოუკიდებელი ელექტრონული მისთვის დამხმარე გვერდის შექმნა.
12. სკოლაში მოსწავლეებისათვის მეტი საგნის შეთავაზება ბრიტანული კოლეჯის დონეზე (A-levels), ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში უსასყიდლოდ, ან დამატებითი საფასურის სანაცვლოდ.
13. დამრიგებლების, პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების გადამზადება ახალი სააღმზრდელო პროგრამების მიხედვით.
14. სასკოლო ბანაკებისა და მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კლუბების გამრავალფეროვნება
15. საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ-პროფესიონალი აკადემიური კადრით უზრუნველყოფა,
16. კემბრიჯის პროგრამის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მეტი ინტეგრირება
17. სკოლის შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გარემონტება, უსაფრთხოების ნორმებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანა.
18. ყოველწლიური ფესტივალისა და კონფერენციის წარმართვის ტრადიციის დანერგვა (ამ წლიდან შესაძლოა ბუნებისმეტყველების გარდა სხვა საგნებშიც ჩატარება სამეცნიერო კონფერენციის).
19. მოსწავლეთა ყოველწლიურ ქვეყნის შიდა, თუ საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის ფასილიტაცია

2027-2028 სასწავლო წლისათვის იგეგმება ღონისძიებები:

1. ახალშექმნილი სახელმძღვანელოს მთავარ რესურსად გამოყენების შეთანხმება სამინისტროსთან.
2. სკოლის ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას
3. სკოლის ძირითადი სხვა საშუალებების განახლება: ავტოპარკის განახლება ახალი ავტობუსების შეძენით; რკინის კარადების, სპორტული აღჭურვილობის, ბიბლიოთეკის რესურსების, ტექნიკის, ლაბორატორიის რესურსების, აუდიტორიების და საოფისე ავეჯის შეძენა და სხვა.
4. არსებული მასწავლებლების დატრენინგება-გადამზადებას,



5. სკოლის ტექნოლოგიური ბაზების დახვეწა.
6. სკოლაში მოსწავლეებისათვის მეტი საგნის შეთავაზება ბრიტანული კოლეჯის - A Levels - პროგრამის ფარგლებში უსასყიდლოდ, ან დამატებითი საფასურის სანაცვლოდ.
7. დამრიგებლების, პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების გადამზადება
8. ტრადიციული სასკოლო ბანაკების სისტემის შექმნა თავისი ინფრასტრუქტურით (იგეგმება სკოლის ბანაკების მშენებლობა ალგეთის წყალსაცავის მიდამოებში)
9. საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ-პროფესიონალი აკადემიური კადრით უზრუნველყოფა,
10. ყოველწლიური ფესტივალისა და კონფერენციის წარმართვა სხვადასხვა საგნების ირგვლივ
11. სკოლის შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გარემონტება, უსაფრთხოების ნორმებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანა.
12. მოსწავლეთა ყოველწლიურ ქვეყნის შიდა, თუ საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის ფასილიტაცია
13. IB, AP, თუ სხვა საერთაშორისო პროგრამების დანერგვა, და მოსწავლეები მიღება ინგლისურენოვან სხვადასხვა საკოლეჯე პროგრამებზე.

2028-2029 სასწავლო წლისათვის იგეგმება ღონისძიებები:

1. სკოლის ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას
2. სკოლის ძირითადი სხვა საშუალებების განახლება: ავტოპარკის განახლება ახალი ავტომობილების შეძენით; რკინის კარადების, სპორტული აღჭურვილობის, ბიბლიოთეკის რესურსების, ტექნიკის, ლაბორატორიის რესურსების, აუდიტორიების და საოფისე ავეჯის შეძენა და სხვა.
3. არსებული მასწავლებლების დატრენინგება-გადამზადებას,
4. სკოლის ტექნოლოგიური ბაზების დახვეწა.
5. სკოლაში მოსწავლეებისათვის მეტი საგნის შეთავაზება ბრიტანული კოლეჯის დონეზე (A-levels), ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში უსასყიდლოდ, ან დამატებითი საფასურის სანაცვლოდ.
6. დამრიგებლების, პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების გადამზადება
7. საქართველოს უნივერსიტეტის დაფინანსებით აშენებულ საზაფხულო ბანაკში (ალგეთის წყალსაცავის მიდამოებში) საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა, გაუმჯობესება.
8. საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ-პროფესიონალი აკადემიური კადრით უზრუნველყოფა,
9. ყოველწლიური ფესტივალისა და კონფერენციის წარმართვა სხვადასხვა საგნების ირგვლივ



10. სკოლის შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გარემონტება, უსაფრთხოების ნორმებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანა.
11. ინგლისურენოვანი ჯგუფების გახსნა ძირითადად უცხოელთათვის რომელიც მხოლოდ კემბრიჯის პროგრამას დაფარავს, ან IB პროგრამით იხელმძღვანელებს
12. მოსწავლეთა ყოველწლიურ ქვეყნის შიდა, თუ საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის ფასილიტაცია

2029-2030 სასწავლო წლისათვის იგეგმება ღონისძიებები:

- 1) მხოლოდ ინგლისურენოვანი კემბრიჯის ან IB სრული 1-12 წლიანი პროგრამის გაწერა და დანერგვა ინგლისურენოვანი მოსწავლეებისათვის.
- 2) სკოლის სათბურის მშენებლობა ბოტანიკის გაკვეთილებისათვის
- 3) მერიასთან ახალი, ორსართულიანი დარბაზის მშენებლობაზე პროექტის შეტანა სასურველია საცურაო აუზიც გათვალისწინებული იყოს.
- 4) სკოლის ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას
- 5) სკოლის ძირითადი სხვა საშუალებების განახლება: ავტოპარკის განახლება ახალი ავტობუსების შეძენით; რკინის კარადების, სპორტული აღჭურვილობის, ბიბლიოთეკის რესურსების, ტექნიკის, ლაბორატორიის რესურსების, აუდიტორიების და საოფისე ავეჯის შეძენა და სხვა.
- 6) არსებული მასწავლებლების დატრენინგება-გადამზადებას,
- 7) სკოლის ტექნოლოგიური ბაზების დახვეწა.
- 8) დამრიგებლების, პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების გადამზადება
- 9) საქართველოს უნივერსიტეტის დაფინანსებით აშენებულ საზაფხულო ბანაკში (ალგეთის წყალსაცავის მიდამოებში) საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა, გაუმჯობესება.
- 10) საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ-პროფესიონალი აკადემიური კადრით უზრუნველყოფა,
- 11) ყოველწლიური ფესტივალისა და კონფერენციის წარმართვა სხვადასხვა საგნების ირგვლივ
- 12) სკოლის შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გარემონტება, უსაფრთხოების ნორმებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანა.



2030-2031 სასწავლო წლისათვის იგეგმება ღონისძიებები:

- 1) მერიასთან პროექტის შეთხმევის შემთხვევაში ორსართულიანი სპორტული დარბაზის მშენებლობა და საუკეთესო შემთხვევაში აუზის მშენებლობა.
- 2) სკოლის ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას
- 3) სკოლის ძირითადი სხვა საშუალებების განახლება: ავტოპარკის განახლება ახალი ავტობუსების შეძენით; რკინის კარადების, სპორტული აღჭურვილობის, ბიბლიოთეკის რესურსების, ტექნიკის, ლაბორატორიის რესურსების, აუდიტორიების და საოფისე ავეჯის შეძენა და სხვა.
- 4) არსებული მასწავლებლების დატრენინგება-გადამზადებას,
- 5) სკოლის ტექნოლოგიური ბაზების დახვეწა.
- 6) სკოლის საკოლეჯე პროგრამების გამრავლება, დახვეწა, ხარისხობრივად გაუმჯობესება და საშუალო სკოლის პროგრამებთან ადაპტირება.
- 7) დამრიგებლების, პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების გადამზადება
- 8) საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ-პროფესიონალი აკადემიური კადრით უზრუნველყოფა,
- 9) ყოველწლიური ფესტივალისა და კონფერენციის წარმართვა სხვადასხვა საგნების ირგვლივ
- 10) სკოლის შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გარემონტება, უსაფრთხოების ნორმებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანა.



7. 2024-2031 წლების სამოქმედო გეგმა



ამოცანები	განსახორციელებელი ღონისძიებები	განხორციელების ვადები	პასუხის-მგებელი პირები	მიღწეული შედეგის განმსაზღვრელი ფაქტორები
